1

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის --- იანვარი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი — მ. ბერაძე

შეთანხმებულია
აპარატის უფროსი — გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე — ლ. ჩანქსელიანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482502296**
თარიღი: **22/01/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024 წლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 6 ფურცელი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა

და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური წარმართავს საქმიანობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის შემდგომი განვითარებისათვის.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით 2024 წელს კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

- **1 იანვარს** საკონცერტო დარბაზ „ივერიაში" გაიმართება, მუსიკალურ-თეატრალიზებული წარმოდგენა „ოქროს გასაღები ანუ ბურატინოსა და მისი მეგობრების არაჩვეულებრივი თავგადასავალი".
- **3 იანვარს** საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და ჩვენი სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა საახალწლო კონცერტი. მოეწყო საშობაო ბაზრობა, საბავშვო გასართობი სივრცეები, ფოტო გადასაღები სტენდები და ინსტალაციები. პატარებს დაურიგდათ საჩუქრები. ტერიტორიაზე განთავსებული იყო ხის საახალწლო სახლები, ადგილობრივ მეწარმეებს მიერ მოეწყო საშობაო ბაზრობა.
- **8 თებერვალს** საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით წყალტუბოელმა ახალგაზრდებმა გელათის მონასტერში პატივი მიაგეს წმინდანად შერაცხული მეფის სახელს.

  შუა საუკუნეების საქართველოს კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლის დათვალიერების შემდეგ გაიმართა დისკუსია საქართველოს ისტორიაში დავით IV -ის, როგორც ქვეყნის გამაერთიანებლისა და აღმშენებლის როლზე, ისაუბრეს ასევე შუასაუკუნეების საქართველოში
- **29 თებერვალს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დარბაზში საჯარო სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაში: რა? სად? როდის? ჩატარდა. ინტელექტუალური თამაში წყალტუბოში ამიერიდან მერიის გამორჩეული თანამშრომლის, წყალტუბოში " რა? სად? როდის? თამაშის დამფუძნებლისა და პირველი თაობის წარმომადგენლის, ზურაბ მურვანიძის სახელობის დაერქვა.
- **7 მარტს** ქალთა საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით ჩვენი სამსახურის ორგანიზებით მოეწყო შეხვედრა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთვების სამსახურში მომუშავე ქალბატონებთან. მათ მუნიციპალიტეტის მერმა გადასცა სიმბოლური საჩუქრები.
- დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, **21 მარტი** წყალტუბოში ტრადიციულად, ინკლუზიურ ცენტრში აღინიშნა. ცენტრის ბენეფიციარებს გადაეცათ საჩუქრები.
- **21-22 მარტს** წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს ორი კურორტის წყალტუბოსა და საირმის ახალგაზრდებმა კონფერენციები გამართეს. წყალტუბოდან პრეზენტაციები მოამზადეს

საჯარო სკოლების, ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის საბუნებისმეტყველო წრის მოსწავლეებმა.

- **17 მარტს** წყალტუბოში, საკონცერტო დარბაზ ,,ივერიაში" ქორეოგრაფის, არაერთი თაობის აღმზრდელის ბესო შენგელიას ხსოვნის საღამო გაიმართა.
- **17-22 მარტს** წყალტუბომ ქართული მუსიკის მე - 7 ეროვნულ კონკურსს უმასპინძელა.
- **27 მარტს** წყალტუბოს სპორტის სასახლეში დასრულდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური ტურნირი ხელბურთში, სადაც იმერეთის ხუთი მუნიციპალიტეტის: წყალტუბოს, ქუთაისის, ტყიბულის, ზესტაფონის და სამტრედიის გოგონათა და ვაჟთა გუნდები მონაწილეობდნენ.
- **2 აპრილს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს შეხვდა. ქალაქის საჯარო სკოლების თვითმმართველობის წევრებმა მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოში ახალგაზრდული საბჭოს შექმნისა და სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერის ინიციატივა გააცნეს.
- **1989 წლის 9** აპრილის ტრაგედიიდან 35 წელი შესრულდა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. შესრულდა დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი.
- **11 აპრილს** წყალტუბოს ცენტრალურ პარკში ქართველი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლის მელიტონ ბალანჩივაძის ბიუსტი დაიდგა.
- **14 აპრილს** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დარბაზში ჩატარდა თემატური კონფერენცია - ,,ჩვენ ვსაუბრობთ ქართულად", რომელიც - სახელმწიფო ენის დღეს მიეძღვნა.
- **27 აპრილს** ქალაქის ცენტრალურ პარკში მოეწყო პოეზიის საღამო, სადაც ჩართული იყვენენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა ახალგაზრდული საბჭოს წევრები.
- **9 მაისს** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა - ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავთან დაკავშირებით, გვირგვინებით შეამკეს გმირთა მემორიალი და პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას.
- **17 მაისს** საკონცერტო დარბაზ "ივერიის" სცენაზე ახლად დაარსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "ივერიამ" სადებიუტო კონცერტი ფოლკლორულ ჯგუფ "ნადურთან"ერთად, გამართა და ფართო აუდიტორიას ქართული ტრადიციული ხელოვნების ნამდვილი ზეიმი მოუწყო.
- **26 მაისს** საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნება წყალტუბოში.
    - ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.
    - ✓ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა ახალგაზრდული საბჭოს წევრებმა ეროვნული დღესასწაულს - 26 მაისის მნიშვნელობასა და სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირების ღვაწლზე ისაუბრეს.

- ✓ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქის N 1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა მუსიკალური კომპოზიცია- ,, საქართველო''.
- ✓ ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო გამოფენა - ,,რაც გვეამაყება და გვაერთიანებს".
- ✓ ჩატარდა მკლავჭიდის ტურნირი სხვადასხვა წონით კატეგორიებში, გოგონებსა და ვაჟებს შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები. ჩატარდა ასევე ჭადრაკის და სამოყვერულო ნარდის ტურნირი. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.
- ✓ დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა საზეიმო კონცერტით დასრულდა.

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით ლიეტუვაში, დამეგობრებულ ქალაქ შილუტეში იმყოფება. ვიზიტის მიზანი მრავალწლიანი საქმიანი ურთიერთობების გაღრმავება და ქალაქის დაარსებიდან 513-ე წლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობაა.

  ქალაქის დღესასწაულის აღნიშვნის ღონისძიებებში მონაწილეობდა ანსამბლი ,,ივერია" ანსამბლმა ,,ივერიამ" ლიეტუვაში ქართული ცეკვის ნამდვილი ზეიმი მოაწყო.

  ,,ივერიამ" ჩაატარა ორი კონცერტი სრული პროგრამით,
- **1 ივნისს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საზეიმოდ აღინიშნა. სპორტის სასახლეში ჩატარდა სპორტული ღონისძიება "მხიარული სტარტები",

  რომელშიც ქალაქის ოთხმა საბავშვო ბაგა-ბაღმა მიიღო მონაწილეობა.

  სპეციალურად ბავშვებისთვის მოეწყო გასართობი სივრცეები, სადაც ზღაპრის გმირებმა და ანიმატორებმა გასართობი პროგრამა მოაწყვეს

  პატარები ხალისით ჩაერთნენ ასფალტზე ხატვის კონკურსში და თაბაშირის ფიგურების გაფერადებაში.

  დღის ბოლოს საკონცერტო დარბაზ ,,ივერიაში" ჩატარდა საბავშვო მიუზიკლი: "მოგზაურობა საჰაერო ბუშტით".

  პატარებს დღის ბოლოს სამახსოვრო საჩუქრები და დიპლომები გადაეცათ.
- **14 ივნისს** დასრულდა საფეხბურთო კლუბ სამგურალის წარმატებული ყოფილი მეკარის, მწვრთნელის - ნოდარ კოხრეიძისა და სპორტის სფეროში წარმატებული მოღვაწე - სულიკო ნიქაბაძის სახელობის მინი ფეხბურთის სამოყვარულო ტურნირი. ტურნიურში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის თვრამეტი ფეხბურთის მოყვარული გუნდი.
- **18 ივლის** წყალტუბოში საპატიო მოქალაქის, პედაგოგის, ჟურნალისტისა და ღირსების ორდენის კავალერის ოქროპირ სვანაძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფა გაიხსნა.
- **2 აგვისტოს** წყალტუბომ ფოლკლორის IX საერთაშორისო ფესტივალს "ლეგენდების ქვეყანა" უმასპინძლა, ღონისძიებაში ინდონეზიის, ლატვიის, თურქეთის, სომხეთის და ბელორუსიის სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორულმა ანსამბლებმა და ჯგუფებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებსაც კონცერტის დაწყებამდე ქართული ცეკვის მასტერკლასები ჩაუტარეს.
- **5 აგვისტოს** წყალტუბოში მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს საზაფხულო ბანაკი გაიხსნა.

ბანაკის მიზანია ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ლიდერის უნარ-ჩვევების განვითარება, ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელებაში ახალგაზრდების ჩართვა.

საბანაკე პროგრამა 5 დღისგან შედგება და ბანაკის ფარგლებში ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ შეხვდნენ ხელოვნების დარგის წარმომადგენლებს, საინტერესო ადამიანებს, მოაწყონ ექსკურსიები ჩაერთონ საგანმანათლებლო, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებსა და შეხვედრებში.

- **8 აგვისტოს** საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მემორიალთან პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.
- **17-18 აგვისტოს** საქართველოში პირველად ინტელექტუალური თამაშების - რა? სად? როდის? ფესტივალი გაიმართა. ინტელექტუალურ თამაშებში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან 200-ამდე ახალგაზრდა მონაწილეობდა. ღონისძიება ასევე, საგანმანათლებლო, კულტურულ, შემეცნებით და სპორტულ აქტივობებს აერთიანებდა.
- **19 სექტემბერს** ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე პედაგოგებს შეხვდა, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა, შეხვედრის დასრულების შემდეგ კომპოზიტორ ზაზა კილასონიას კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა
- **27 სექტემბერი** - სოხუმის დაცემიდან 31 წელი გავიდა, საქართველოს უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკულ თარიღთან დაკავშირებით წყალტუბოში, დიდების მემორიალთან პატივი მიაგეს აფხაზეთის ომის გმირებს.
- **27 სექტემბერს** წყალტუბომ საერთაშორისო ტურისტული ფილმების ფესტივალს უმასპინძლა.
- **28 სექტემბერს** წყალტუბოში ტრადიციული სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომის წყალტუბო" მრავალფეროვანი და მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნა.

  სახალხო დღესასწაულის ფარგლებში წარმოდგენილი იყო: ფოლკლორული და თეატრალიზებული სანახაობები; საგამოფენო სივრცეები; ეთნოგრაფიული კუთხეები; დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა შემეცნებითი; კულტურული და სპორტული ღონისძიებები; დაიწურა ყურძენი, იმერულ ფაცხებში კი სოფლის ნობათი და ტკბილეული იქნა წარმოდგენილი.
- **28 სექტემბერს** წყალტუბოში ტრადიციული სახალხო დღესასწაული ,,შემოდგომის წყალტუბო'' მრავალფეროვანი და მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნება.
  - ✓ მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა აღევლინა.
  - ✓ საზეიმო ვითრებაში გაიხსნა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი.
  - ✓ მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა წყალტუბოსთან დამეგობრებული ქალაქების შილუტეს, სალდუსის, სალსომაჯორეს, იუნიევოს, უნგენის, გალაცისა და რიზეს დელეგაციები მიიღეს.
  - ✓ იტალიის დელეგაციის წარმომადგენელმა კრისტინა სერვინმა წყალტუბოს დროშასა და გერბზე გამოსახული სიმბოლოებით, ასევე, კურორტის სავიზიტო ბარათად ქცეული ძველი არქიტექტურული ნიმუშების მახასიათებლებით შექმნილი შარფის პრეზენტაცია წარმოადგინა.
  - ✓ გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტი.

- ✓ სახალხო დღესასწაულის „შემოდგომის წყალტუბოს" ფარგლებში მთელი დღის სხვადასხვა კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებები გაიმართა.
- ✓ მოეწყო საგანგებო სიტუაციებისა და სამხედრო აღჭურვილობის საჩვენებელი სივრცეები.
- ✓ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ცნობილი ქართველი მხატვრების შედევრები წარმოადგინეს. გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენები, მოეწყო ახალგაზრდული და ტურისტული სივრცეები, გამოფენები.

სახალხო დღესასწაულის „შემოდგომის წყალტუბო"-ს ფარგლებში გაიმართა წყალტუბოს საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება, ჩატარდა გალა კონცერტი და ღონისძიება დასრულდა ფოიერვერკით და DJ პროგრამით.

- **29 სექტემბერს** საკონცერტო დარბაზ „ივერიაში'' წყალტუბოში მოღვაწე ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი გაიმართა.
- **12 ოქტომბერს** გაიმართა ეროვნული ღონისძიება „მამული ენა, სარწმუნოება".
- **18-19-20 ოქტომბერს** ქ. წყალტუბოს სპორტის სასახლეში ჩატარდა - წყალტუბოში ბრ/რომაული ჭიდაობის დამფუძნებლის კედირ ჯიმშელეიშვილისა და საქართველოს სპარტაკიადის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის დავით აფხაძის სახელობის (2011-20012, 2013-2014 წ.წ დაბადებულ ჭაბუკთა შორის) ბერძნულ - რომაული სტილით ჭიდაობის ტურნირი, სადაც თოთხმეტი მუნიციპალიტეტის ასამდე სპორტსმენი მონაწილეობს (წყალტუბო, სიღნაღი, საგარეჯო, გარდაბანი, აფხაზეთი, ფოთი, ხულო, ქუთაისი, რუხი, რუსთავი, ლანჩხუთი, ზესტაფონი, ჭიათურა, თბილისი).
- **16-17-18 ოქტომბერს** ქ. წყატუბოს სპორტის სასახლეში ჩატარდა წარმატებული სპორტსმენისა და დამსახურებული მწვრთნელის - როინ მეტრეველის სახელობის ხელბურთის საერთაშორისო ტურნირი (2009-2010-2011 წ.წ დაბადებულ ვაჟებს/გოგონებს შორის), სადაც მონაწილეობდა შვიდი მუნიციპალიტეტისა (წყალტუბო, სამტრედია, ქუთაისი, ზესტაფონი, გორი, ხელვაჩაური, ბათუმი) და ერევანის (სომხეთი) ვაჟთა და გოგონათა გუნდები.
- **7 ნოემბერს** - ჩატარდა წარმატებული მწვრთნელის - ზურაბ ბადირეიშვილის სახელობის კალათბურთის ტურნირი (2008-2009-2010 წ.წ დაბადებულ ვაჟებს შორის), სადაც მონაწილეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების გუნდები.
- **12 ნოემბერს** - სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში ჩატარდა კალათბურთის 3X3, მძლეოსნობის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, მინი ფეხბურთის, ხელბურთის ტურნირები, სადაც მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა (ვაჟები და გოგონები).
- **13 დეკემბერს** - ჩატარდა ზაურ ტეხოვის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო სკოლებს შორის (2008-2009-2010 წ.წ. დაბადებული ვაჟები), ტურნირში მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თერთმეტმა საჯარო სკოლამ.
- **23 დეკემბერს** - წყალტუბოში საზეიმოდ აინთო ქალაქის მთავარი ნაძვის ხე. წყალტუბოს ცენტრალურ პარკში საქართველოს მთავრობის ინიციატივით საახალწლო ღონისძიება გაიმართა. მთავარი საახალწლო ღონისძიება ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლების კონცერტით გაიხსნა. სადღესასწაულო განწყობა ზღაპრის გმირებმა და მოსიარულე ორკესტრის წარმომადგენლებმა შექმნეს. მოეწყო საშობაო ბაზრობა,

პატარებს საბავშვო სივრცეებში უმასპინძლეს, თოვლის ბაბუამ ტრადიციულად საჩუქრები დაარიგა. დღის ბოლოს, გაიმართა გალა კონცერტი და დასრულდა ფეიერვერკით.

- **24 დეკემბერს** - წყალტუბოში საკონცერტო დარბაზ ,,ივერიის'' მიმდებარე ტერიტორიაზე „საახალწლო, ჯადოსნური ქალაქი" გაიხსნა, სადაც გაიმართა სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები ბავშვებისათვის. სპეციალურად შექმნილ სახლებში მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ჩატარდა ცეცხლოანი შოუ, ღონისძიება გაგრძელდა შოუ პროგრამით. კონცერტი გვიან ღამემდე გაგრძელდა და ფეიერვერკით დასრულდა.
- საახალწლო ჯადოსნურ ქალაქში ღონისძიებები გაგრძელდა **28 დეკემბრის** ჩათვლით. სადაც საღამოს 18:00 საათიდან ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით ეწყობოდა კონცერტები, გამოფენები და საახალწლო ფილმის ჩვენებები.
  კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრები.
- **25 დეკემბერს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა 2024 წლის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები დააჯილდოვა.
- **31 დეკემბერს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა 24 საათიან რეჟიმში მომუშავე უწყებებისა და სამსახურების წარმომადგენლებს ახალი წლის დღესასწაული მიულოცა და საახალწლო კალათები გადასცა.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით შესყიდული იქნა საბავშვო საახალწლო ტკბილეული, რომელებიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ გადასცა: ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის და დღის ცენტრ ,,ჩვენი სახლის'' აღსაზრდელებს, ასევე საახალწლო საჩუქრები გადაეცათ მაღალმთიანი სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს.

ტურნირებში საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.